როგორც ბროწეულის შემადგენელი ნაწილების ქიმიური შემცველობიდან ჩანს, მისი დანამატად გამოყენება აამაღლებს და გაზრდის ჩაის პროდუქციის, კერძოდ, ტაბლეტირებული ჩაის ქიმიურ შემადგენლობას, გააძლიერებს მისი ნაყენის ანტიმიკრობულ თვისებებს, დაიცავს ორგანიზმს მავნე მიკროფლორის განვითარებისგან. შეიძლება მიღებული ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებით გამოყენებაც.

ტაბლეტირებული ჩაის დასამზადებლად გამოყენებულ იქნა:

- მწვანე ჩაის გამონაცერი;
- ბროწეულის ფოთლების ექსტრაქტი, როგორც შემკვრელი ნივთიერება;
- შაქრის ფხვნილი, როგორც მზა ტაბლეტის ხსნადობის გამაუმჯობესებელი;
- შესარევი ინგრედიენტების რაოდენობამ შეადგინა: გამონაცერი - 75%, ექსტრაქტი - 15%, შაქრის ფხვნილი - 10%;
- პროცესის გასამარტივებლად ტექნოლოგიური სქემიდან ამოღებულ იქნა გრანულირების პროცესი, ვინაიდან ნედლეული წინასწარაა დაქუცმაცებული. ამასთან, დასამატებელი შემკვრელი ნივთიერება უზრუნველყოფს დასაწნეხი მასალის მაღალი შეკვრის უნარს.

ბროწეულის ფოთლის ექსტრაქტი მიღებულ იქნა: ფოთლების წყლის ორთქლით დამუშავებით (ქლოროფილის დაშლის მიზნით), შემდგომი დაქუცმაცებით და გაშრობით 3-5% ტემპმცველობამდე; ექსტრაქტი მივიღეთ სამჯერადი ექსტრაქციით ბროწეულის ფოთოლსა და წყალს შორის 1:5 თანაფარდობით; დასამატებელი ექსტრაქტის ოპტიმალურ დოზად ავიღეთ 20ლ. 200კგ. ჩაის ფოთოლზე ანუ ჩაის 10%, რაც უზრუნველყოფს დამატებული ექსტრაქტის სრულ მონაწილეობას გადამუშავების პროცესში.



საბოლოოდ, ტაბლეტირებული ჩაის წარმოების ტექნოლოგიურმა სქემამ მიიღო შემდეგი სახე:

ნედლეულის მომზადება (გამონაცერი, შაქრის ფხვნილი, ბროწეულის ფოთლების ექსტრაქტი) → კომპონენტების შერევა → შრობა (170°C, 30-40წთ) → დაფქვა და ნარევის მომზადება დაწნეხისათვის → ტაბლეტის ფორმირება დაწნეხით → სასაწყობო ოპერაციები (გაცრა ფხვნილისა და ნატეხებისგან, დაყოვნება 1-2სთ)

ტაბლეტირებულ ჩაის ნიმუშებში განსაზღვრულ იქნა ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და ძირითადი ქიმიური კომპონენტები. [5]

განსაზღვრის შედეგები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილი №1

**ტაბლეტირებული ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლები**

ცდის ვარიანტი	არომატი და გემო (ბალი და დახასიათება)	ნაყენი (ბალი და დახასიათება)	ნაყენის ინტენსივობა (ΦΕΚ-56M)	ექსტრაქტული ნივთიერებები %	ფენოლური ნაერთები %
საკონტროლო	3,00 ჩაისათვის დამახასიათებელი	ყვითელი, არასაკმარისად გამჭვირვალე	0,49	32,5	13,5
ტაბლეტირებული ჩაი	3.25 სასიამოვნო არომატით	ყვითელი, მოწითალო ელფერით, საკმარისად გამჭვირვალე	0,60	34,9	14,8

როგორც ცხრილიდან ჩანს, ექსტრაქტული ნივთიერებების რაოდენობა მატულობს 0,7%-დან 2,7%-მდე, ხოლო ფენოლური ნაერთების შემცველობა მატულობს 1,45%-მდე, უმჯობესდება ხარისხობრივი მაჩვენებლები, მიიღება ყვითელი, მოწითალო ელფერის პროდუქტი.

ამრიგად, ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბროწეულის მცენარის ფოთლის ექსტრაქტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გამდიდრებული, ნატურალური, არაფალსიფიცირებული, ტაბლეტირებული მწვანე ჩაის წარმოებაში, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების სამომხმარებლო პროდუქტად.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Ревишвили Т. Малои безотходное технология в производстве чая. Москва: издательство «АгроНИИТЭИПП», выпуск 1, 1989г. стр. 15-17
2. Мачихин Ю., Зурабишвили Г. - Таблетирование пищевых материалов. издательство «Пищевая промышленность», Москва, 1978г. стр. 135;
3. ლასარეიშვილი ლ., ტრაპაიძე ჩ. - ბროწეული. გამომცემლობა „საბჭოთა საქართვე-“



- ლო“, თბილისი, 1982წ. გვ.32;
- ჩაგელიშვილი ს., გოგორიშვილი მ. - საქართველოს სამკურნალო მცენარეები და მათი გამოყენება. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1991წ. გვ.144;
  - ჯინჯოლია რ., ჩიქოვანი ნ. - ჩაის ქიმიის პრაქტიკუმი. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1986წ. გვ.158;

## Production of tablet soluble tea enriched with biologically active substances

**Ekaterine Kakhniashvili**

Candidate of Technical Sciences, Academic Doctor of Technology, The associated professor

Department of subtropical crops products technology, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### Abstract

The present work deals with one of the interesting types of food product – tablet soluble tea, which are obtained from hard-to-be-grown tea types - Increasing its chemical composition and enrichment with biologically active substances can be planted with vegetable raw materials - in the production of pomegranate leaves extract. The technologically advanced technique allows for easy access to food products. The tablet soluble tea is a product filled with substances that are essential for the body, which can also be used for medicinal and prophylactic purposes. Involve in the daily diet of this product will increase the immune system of the body, fill the energy deficit, rejuvenate effect.

The biologically active ingredient is the concentration of high physiological activity, which is essential for the survival of the living organism, activates the enzymatic system, quickly and easily restores the shortage of nutrient essential nutrients, strengthens the body by energizing, and even a small amount of sufficiently healthy and protective action For him. Thus, it is necessary to use their daily ration.

A rich product of biologically active ingredients is tea products, namely green tea. It is possible to increase and enrich its properties with other additional features, using biologically active substances, which have previously been tested. However, this time we used tea types – siftings and fanning.

We have produced a tablet soluble tea that is a product of a 3-5 ml table tablet that is made of siftings and fanning. It is distinguished with small quantities, high quality dosage accuracy, well maintained, well transported, and most importantly convenient for use.

Pomegranate is a rich plant with biologically active substances selected to boost the tablet soluble tea.

As the chemical composition of the pomegranate components, it will be used as an additive to increase and increase the production of tea products, in particular, the chemical composition of the tea, and the antimicrobial properties of its preparation, will protect the body against harmful microflora. Can be used for the treatment of tea products with prophylactic purposes.

For the preparation of tablet soluble teas were used:

- Green tea discharge;
- Pomegranate leaves extract as a subtle substance;



- Sugar powder to improve the readiness of the ready tablet
- Composition of compound ingredients: 75%, excretion - 15%, powdered sugar - 10%;
- In order to simplify the process, the process of granulation has been removed from the technological scheme, since the raw material is pre-crushed. Additionally, the additive substance provides the ability of high-packing material to break down.

Pomegranate leaf extract has been obtained: processing the leaves with water steam (for the purpose of dissolution of chlorophyll), further shredding and drying up to 3-5% tm; Extract has been obtained by a three-fold extract of pomegranate leaf and water in 1.5 ratio; We took 20 liters of optimum dose to extract 200 kg. tea leaf, which is 10% of tea, ensures full extraction of the extract in the processing process.

The technological scheme adopted by the teapot tea is as follows:

Prepare the raw materials (excretion, powdered sugar, pomegranate leaves extract) → Mixing components → 170g, 30-40 years) → Prepare the crushing and mixing of pressure → Pressing the tablet → warehouse operations (exchanged from powder and grout, delaying 1-2).

Tablet samples have been defined by organoleptic indicators and basic chemical components.

Determination results are given in Table № 1.

As shown in the table, the number of extractive substances increases from 0,7% to 2,7%, while the content of phenolic compounds increases by up to 1,45%, improved quality ratings, yellow, reddish-alloy products.

Thus, on the basis of the experimental experiment, we can conclude that pomegranate plant leaf extract can be used in biologically active ingredients enriched natural, non-phosphated, green tea, which can also be used as a drug-prophylactic consumer product.

Table № 1.

**Quality of tablet soluble tea**

Try the option	Aroma and taste (score and characterization)	Infusion (score and characterization)	Intensity of infusion (ФЕК-56M)	Extractable substances %	Phenolic compounds %
<b>Control</b>	3,00 Characteristic of tea	Yellow, insufficiently transparent	0,49	32,5	13,5
<b>Tablet soluble tea</b>	3.25 Pleasant aroma	Yellow, reddish tint, sufficiently transparent	0,60	34,9	14,8



**კავკასიური დეკას ფოთლები – „მატეს“ ტიპის ჩაის მიღების  
 ალტერნატიული ნედლეული**

თამარ კოპალიანი

დოქტორანტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი,  
 საქართველო

*„მატეს“ ტიპის ჩაის მისაღებად შემოთავაზებულია ალტერნატიული ნედლეული – კავკასიური დეკას ფოთლები. შესწავლილია დეკას მორფოლოგიურ-ანატომიური ნიშნები და ჰისტოქიმიური რეაქციებით დადგენილია მასში ფლავონოიდების არსებობა.*

სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილ უამრავი სახის ჩაებს შორის ერთ-ერთ გამორჩეულს წარმოადგენს “პარაგვაის ჩაი”–“მატე”, რომლის დამზადებისათვის გამოიყენება ტროპიკული მცენარის *Ilex Paraguerinsis St.Hill* ფოთლები და ყლორტები. ამ მცენარის სამშობლოა სამხრეთ ამერიკის ქვეყნები: პარაგვაი, არგენტინა, ბრაზილია, ჩილე.

“მატეს” ჩაის გააჩნია ადამიანის ორგანიზმზე ბიოლოგიური მოქმედების ფართო სპექტრით აძლიერებს მადას, ასტიმულირებს გულისცემასა და სხვა ორგანოების მუშაობას, აფართოებს კაპილარებს და დაბლა სწევს წნევას და სხვა.

აღნიშნულმა თვისებებმა განაპირობეს „მატეზე“ გაზრდილი მოთხოვნილება მთელ მსოფლიოში, თუმცა ბუნებრივი საწარმოებელი რესურსის შეზღუდულობის გამო ჯერ-ჯერობით მასზე საბაზრო მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია. აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი “პარაგვაის ჩაის” მისაღებად ალტერნატიული ნედლეულის გამოვლენაზე.

ამ მხრივ ჩვენს მიერ არჩევანი გაკეთდა კავკასიური დეკას ფოთლებზე, რომელიც ანატომიური აგებულებითა და ბიოლოგიური თვისებებით ძალიან ახლოსაა ტრადიციულ *Ilex Paraguerinsis St.Hill*– თან, ამასთან არ შეიცავს კოფეინს და სხვა ძლიერმოქმედ ალკალოიდებს, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ იგი შეუზღუდავად ნებისმიერი ასაკოვანი ჯგუფის მომხმარებლისათვის და შედეგად მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ “მატეს” ჩაის საწარმოებელი ბაზა სუბტროპიკების პირობებში.

კავკასიური დეკა (*Rhododendron caucasicum*) მანანასებრთა ოჯახის რელიქტური მცენარეა როდოდენდრონის გვარისა. მარადმწვანე, სიმაღლით 1-1,5 მ-მდე სიმაღლის ბუჩქი. აქვს მოგრძო, ტყავისებრი ფოთლები, რომელთა ზედა მხარე შიშველია, ქვედა კი – ქერისებრ ბუსუსიანი, ყვავილები მეტად ლამაზი, ზარისებრი, თეთრი ან მოყვითალო, ზოგჯერ ვარდისებრი ელფერით [სურ.2].



ნაყოფი ხუთბუდიანი კოლოფია. გავრცელებულია კავკასიის სუბალპურ და ალპურ სარტყელში ზღვის დონიდან 1600-3000 მ-მდე. ჩვენს სუბალპურ ტყეებში (არყნარები, წიფლნარები) დეკა იზრდება ძალზე შეკრულ ქვეტყედ. ალპურ სარტყელში ჩრდილოეთ კალთებზე ქმნის ასევე ხშირ რაყას – [დეკიანს](#) [სურ. 1]. ყვავილობს ივნის-ივლისში.

კავკასიური დეკა განეკუთვნება საქართველოს ენდემური მცენარეების ჯგუფს და გავრცელებულია ყველა მაღალმთიან რაიონში. ფოთლების შედგენილობა ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდებში სხვადასხვაა: გაზაფხულზე ჭარბობს გასული წლის ფოთლები (ორწლიანი და სამწლიანი), შემოდგომაზე - ერთწლიანი.



**სურათი 1.დეკიანი**



**სურათი 2. დეკას ყვავილი**

ხალხური მედიცინიდან ცნობილია, რომ დეკას გამშრალ ფოთლებს ხალხი დიდი ხნიდან მოიხმარს, როგორც ჩაის საუკეთესო სუროგატს. იგი ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაში ვერცხლისწყლით მოწამვლისას, ლორწოვანი გარსის დაავადებებისა და თავის ტკივილების დროს. გააჩნია მაღალი P-ვიტამინური აქტივობა [1-5]. ხალხი მას განსაკუთრებით ფართოდ იყენებს სიმაღლეზე (მთებზე) გადასვლისას, რადგანაც კარგად ხსნის ჟანგბადის უკმარისობის სინდრომს.



აღსანიშნავია, რომ კავკასიური დეკას ფოთლებიდან მიღებული ჩაის ლაბორატორიული ნიმუშების ბიოლოგიური თვისებების გამოკვლევამ გამოავლინა თავგების მუშაობის უნარის 2,5-3-ჯერ ამაღლება “ემმაკის ბორბლის” ტესტზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას და პრაქტიკულ რეალიზაციამდე მიყვანას აქვს მნიშვნელოვანი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება. ნიშანდობლივია, რომ მიზნობრივი დეკას ჩაი ფაქტიურად არის მაღალი ეკოლოგიური სისუფთავის (*Organic*) ბიოპროდუქტი, რაც შეიძლება გახდეს მზარდი მოთხოვნილების საგანი.

### კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევის მასალად გამოვიყენეთ კავკასიური დეკას მე-2-ე და მე-3-მე წლის ფოთლები, რომელთა დამზადება განხორციელდა ბახმაროს მთის შემოგარენში აგვისტოს თვეში. ანალიზების ჩატარებისათვის საჭირო ახლადმოკრეფილ ფოთლებს ვაფიქსირებდით კოხის აპარატში და ვაშრობდით ფენ-აპარატში არაუმეტეს 13% ნარჩენ ტენიანობამდე.

საანალიზო ნიმუშების მორფოლოგიურ-ანატომური მახასიათებლები შესწავლილ იქნა ბელორუსის რესპუბლიკის ვ.ფ.კუპრევიჩის სახელობის ფლორისა და მცენარეთა სისტემატიკი ექსპერიმენტული ბოტანიკის ინსტიტუტში სახელმწიფო ფარმაცოპეას XI-ის განყოფილებების „გარეგანი ნიშნები“ და „მიკროსკოპია“ შესაბამისად [6-7].

### შედეგები და მათი განსჯა

ცხრილში 1 მოყვანილია ნედლეულის ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშნები.

### კავკასიური დეკას ფოთლების გაზომვის მონაცემები

**ცხრილი 1.**

გაზომვის ნომერი	სიგრძე, სმ		ფოთლის სიგანე, სმ
	ფოთლის	ღეროების	
1	14,7	0,8	6,1
2	15,1	1,4	5,8
3	13,8	2,0	5,5
4	14,2	1,9	4,8
5	10,2	0,6	5,4
6	13,0	1,0	6,0
7	12,8	0,8	5,4
8	12,6	1,6	5,2
9	14,4	2,0	5,8
10	10,8	1,0	5,0
საშუალო	13,16	1,31	4,96



ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია კავკასიური დეკას ფოთლებში ტრიტერპენოიდების, არბუთინის, კატეხინების, ფლავონოიდების და მთრიმლავი ნივთიერებების არსებობა. ჩვენს მიერ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ზოგიერთ კლასზე ჩატარებული ჰისტოქიმიური რეაქციების შედეგები წარმოდგენილია ცხრ.2-ში და ადასტურებენ მონაცემებს ნედლეულის ხარისხობრივ შედგენილობაზე.

ამრიგად, ჰისტოქიმიურმა რეაქციებმა დაადასტურეს ლიტერატურული მონაცემები ბიოაქტიური ნივთიერებების - ფლავონოიდებისა და მთრიმლავი ნივთიერებების არსებობაზე, რომელთა დაგროვება პირდაპირ დამოკიდებულია ფოთლების ვეგეტაციის ფაზაზე, ბუსუსების წარმოქმნაზე, მათ რაოდენობაზე ფოთლის ქვედა მხარეზე, ფოთლის დამზადების პერიოდსა და მის შენახვის პირობებზე და სხვა.

ნედლეულის სასაქონლო მახასიათებლები განისაზღვრა როგორც 5 საცდელი სერიის საშუალო სტატისტიკური. შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 3.

**ბიოაქტიური ნივთიერებების ლოკალიზაცია კავკასიური დეკას ფოთლების ქსოვილებში**

**ცხრილი 2.**

ბუნებრივი ნაერთების კლასები	რეაქცია	ბიოაქტიური ნივთიერებების ლოკალიზაცია
მთრიმლავი ნივთიერებები	რკინის ჟანგის ქლორიდთან	ზედა ეპიდერმაში ფირფიტების, ბეწვების, ფლოემის ელემენტების, ქსილემის სხივური პარენქიმის, დისკოს ლაფნის ბოჭკოების შეფერვა
	მოლიბდენ-მჟავე ამონიუმთან (გარდინერის მეთოდის მიხედვით)	დისკოს ლაფნის ბოჭკოების, კოლენხიმის ნარინჯისფერი შეფერვა
	ორქრომკალიუმის მარილით	ეპიდერმის და ქსოვილების ძარღვების, ფლოემის, ქსილემის პარენქიმის, ჰიპოდერმის სუსტი შეღებვა
კატეხინები	რივას მეთოდით	კოლენქიმის ბოჭკოვანი ბეწვის ქსოვილის გარშემო წითელი შეფერვა, სუსტად –ფლოემაში,






		ფრაგმენტულ-ლად კოლენქიმის ბეწვების გვერდითი ვენების და ჰიპოდერმის
არბუთინი	ამიაკისა და 10%-ანი ფოსფორ-მოლიბდენის მჟავას ხსნარით HCl-ში	ლურჯი- მწვანე შეფერვა პერიფერიული პარენქიმის მთავარი ძარღვების გარშემო, სუსტად – პარენქიმის ქსილემის, ჰიპოდერმის, მეზოფილის -თანდა-თანობითი შეფერვა
ფლავონოიდები	მეტალური Mg და კონცენტრირებული HCl	პარენქიმის ქსილემის სუსტი შეღებვა, ბეწვები და ზედა ეპიდერმა შეიღება წითელ- ყავის-ფრად
ფლოროგლუცინის, რეზორცინის, კატეხინების წარმოებულები	ვანილინის 1%-ნი ხსნარით და კონცენტრირებული HCl-ით	ეპიდერმის ქვედა ღრუს მრავალუჯრედიანი ბეწვების გამოხატული შეღებვა

დეკას ფოთლების სასაქონლო ანალიზის შედეგები

**ცხრილი 3.**

მაჩვენებლის დასახელება	ნორმა	განსაზღვრის მეთოდი
გარეგანი ნიშნები	მთლიანი ან ნაწილობრივ დაწვრილმანებული ფოთლების ნარევი, ღეროვანი, ელიპტური ან შებრუნებულ ფართო ლანცეტური, ბლაგვწვეტიანი წვერით და სოლისებრი ფორმის ფუძეთი, ერთიან პირიანი, ქვემოთ დახრილი კიდეებით, სიგრძით 10–15 სმ, სიგანით 5–6 სმ. ფოთლები ზემოდან მუქი-მწვანე, შიშველი, მზრწყინავი, ქვემოდან მომწვანო-დაბურული	სფ XI, გამოცემა I, გვ.252
მიკროსკოპია	ზედა ეპიდერმისის უჯრედის ზედაპირი მრავალკუთხოვანი, მსხვილი. არასწორი ფორმის სქელი, ძლიერ ხვეული კედლებით. შეერთების ადგილებში მრავალრიცხოვანი, მსხვილი, მომრგვალებული, შემოსაზღვრული ორი უჯრედით. ბუსუსები მრავალრიცხოვანი, სამლენტოვანი, სქელკედლიანი, თასმისებრი, შევსებული ღია-რუხი ციტოპლაზმით. ბუსუსის ფუძე წარმოქმნილია ორი ჩალისფერი შესქელებული ბეჭდის ფორმის ერთიმეორეზე განლაგებული უჯრედებით	სფ XI, გამოცემა I, გვ.277



სურათი 1. დეკას ფოთლების ეპიდერმისის აგებულება (x250)

- 1-ბაგის აპარატის პარაცელული ტიპი;
- 2-ხვეული კედლის უჯრედების ეპიდერმისი;
- 3-მარტივი ბუსუსი
- 4-წრიული უჯრედები ბუსუსების მიერთების ადგილზე

### მოკლე დასკვნები

- ❖ „მატეს“ ტიპის ჩაის მისაღებად შემოთავაზებულია ალტერნატიული ნედლეული - კავკასიური დეკას ფოთლი;
- ❖ შესწავლილია დეკას ფოთლის მორფოლოგიურ-ანატომური მახასიათებლები, ჰისტოქიმიური მაჩვენებლები და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ლოკალიზაციის ხასიათი;

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Растительные ресурсы СССР. Цветковые растения, их химический состав, использование; Семейства Раеomaceae-Thymelaceae: Л: Наука, 1985 –С.149-151.
2. Melkadze R, Kereselidze O. Characteristics of Caucasian rhododendron leaves (*Rhododendron caucasicum* Pall.) and prospects of its receiving a tea product such as “Mate”/ Journal of biology and Life science, (USA), v.1, #1, 2010, pp.1-10
3. Melkadze R. Alternative raw material for tea “Mate”/International Forum “Euro-ECO-Hanover 2010, Hanover-Germany, 2010, Pp. 63-64.
4. Мелкадзе Р.Г. Арбутин листьев рододендрона кавказского (*Rhododendron caucasicum*



- Pall.*) // IV всероссийская конф. «Новые достижения в химии и химической технологии растительного сырья», РФ, Барнаул, Алтайский госуниверситет, 2009
5. Мелкадзе Р.Г. и др., Морфолого-анатомические характеристики листьев рододендрона кавказского (*Rhododendron caucasicum Pall.*) // VI Всероссийская конф. «Новые достижения в химии и химической технологии растительного сырья», РФ, Барнаул, Алтайский госуниверситет, 2014.
6. Государственная фармакопея СССР. Вып.1. Общие методы анализа/МЗ СССР -11 изд. доп. М.: Медицина, 1987 -336 с.
7. Государственная фармакопея СССР. Вып.2. Общие методы анализа. Лекарственное сырье /МЗ СССР -11 изд. доп. М.: Медицина, 1989 -400 с.

## The Leaves of Caucasian Rhododendron (*Rhododendron caucasicum Pall.*)- Used for Obtaining Alternative Raw Material of “Mate” Type Tea

Tamar Kopaliani

Doctorant, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

### Abstract

A wide range of tea products is presented on the consumer market. Paraguay “Mate” type tea is one of the leading product. The leaves and sprouts of tropical *Ilex Paraguerinsis St.Hill* are used to produce it. Paraguay “Mate” type tea originally comes from Paraguay, Argentina, Brazil and Chile.

Paraguay “Mate” type tea influences the human body in many ways. Usage of the product increases appetite, stimulates heart rate and has positive impact on other body organs. It widens capillaries, decreases high blood pressure etc.

The number of the above-mentioned product on market is very low. Alternative material to substitute it is Caucasian Rhododendron (*Rhododendron caucasicum Pall.*)

The leaves of Caucasian Rhododendron (*Rhododendron caucasicum Pall.*) has many anatomical and biological characters in common with traditional *Ilex Paraguerinsis St.Hill*. The product does not contain caffeine and other strongly stimulant alkaloids. These features enable the usage of the product for all age groups.

The rhododendron belongs to a family of Ericaceae D.C. Plants. It is an evergreen bush that may reach 1,5 m in height; its leaves are dark leathery green and resemble an elongated oval, it is length 4,5-12 cm and sit s on a short, reddish stems; Plant’s flowers ,which blossom in June – July, are light pink in color, gathered around the stem in 3 to 5 rows, and have pleasant aroma. The plant grows in a high-mountainous region at altitudes of 1600-3000 m above the sea level and forms extensive thickets in Alpine zone and a underbrush in subalpine woods. Rhododendron can be found in highlands



of Georgia.

Rhododendron is widely spread in the highlands of Georgia. The consistency of its leaves is different depending the season: in Spring dominates the leaves of previous year (2-years, 3-years), 1-year leaves are presented in Autumn.

Dried leaves of Rhododendron are widely used in traditional medicine. Leaves of a rhododendron Caucasian are widely used in homeopathy at curing poisonings from mercury, diseases of mucous membranes and headaches. Preparations from leaves possess high P-vitamin activity. People widely consume it while hiking in the mountains, it vanishes symptoms of oxygen deficiency.

#### Research Material and Methods

The material for research has been taken from highlands of Bakhmaro, in August. 2 and 3 year long tea-leaves. Freshly picked material was put in the fire-proof device and was dried in the drying device till 13% of humidity.

#### Results

Table N1 represents major characteristic features of the raw material.

**Table N1.** Measures of Rhododendron leaves.

Measuring Number	Length		Width of the leaves
	Leaf	Sprout	
1	14,7	0,8	6,1
2	15,1	1,4	5,8
3	13,8	2,0	5,5
4	14,2	1,9	4,8
5	10,2	0,6	5,4
6	13,0	1,0	6,0
7	12,8	0,8	5,4
8	12,6	1,6	5,2
9	14,4	2,0	5,8
10	10,8	1,0	5,0
Average	13,16	1,31	4,96

Hystochemical reactions have proved the existence of bioactive substances. Their accumulation directly depends on the vegetation of leaves, creation of downy, their number below the leaf, period of its creation, storage conditions etc.

#### Brief Summary

- ❖ The Leaves of Caucasian Rhododendron (*Rhododendron caucasicum* Pall.)- Used for Obtaining Alternative Raw Material of “Mate” Type Tea;
- ❖ Morphological-Anatomical characteristic features of The Leaves of Caucasian Rhododendron have been studied, hystochemical features and the location of biological substances have been pointed out.



**აგროკლიმატური ფაქტორის გავლენა აქტინიდიის (კივი) მცენარის  
 ზრდა-განვითარებაზე ქუთაისის პირობებში**

**ვლადიმერ უგულავა**

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

**ქეთევან ქუთელია**

სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო.

**თორნიკე ხელაძე**

მაგისტრი

*სტატიაში განხილულია აქტინიდიის სელექციური გზით მიღებული ჯიში “ჰაივარდის” ზრდა განვითარებაზე თუ როგორ მოქმედებს აგრო-კლიმატური ფაქტორები ქუთაისის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია კვლევის ჩატარების ობიექტების ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური მაჩვენებლები, როგორც მრავალწლიური (ნორმის), ასევე კვლევის წარმოების წლების მიხედვით. აგროკლიმატურ მაჩვენებლებზე დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ყველა აგროკლიმატური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია, მხოლოდ მრავალწლიურთან შედარებით ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და ნალექები შედარებით მაღალი იყო 2017 წელს.*

აქტინიდიას (კივი), როგორც ხეხილოვან სამრეწველო კულტურას საქართველოს საზოგადოება ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობდა, მაგრამ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო მეხილეობაში ფართოდ „შემოპარულმა“ - აქტინიდიამ, რომლის ნაყოფები მაღალი კვებითი და საგემოვნო თვისებებით ხასიათდება, საყოველთაო მოწონება, გავრცელება და მოხმარება მოიპოვა მსოფლიო მეხილეობაში.

აქტინიდიის საწარმოო ნარგავები ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ რაიონებში, დანარჩენ რეგიონებში ვხვდებით ერთეული დაინტერესებული პირების მიერ საკარმიდამო ნაკვეთებზე.

ჩინური აქტინიდიის (კივის) კულტურის აგროეკოლოგიური თავისებურებების შესწავლის მიზნით სტაციონალური ცდა დაყენებული იქნა ქუთაისში (იმერეთი).



ქვემოთ მოგვყავს კვლევის ჩატარების ობიექტების ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური მაჩვენებლები, როგორც მრავალწლიური (ნორმის), ასევე კვლევის წარმოების წლების მიხედვით. ჩვენს მიერ აღირიცხა შემდეგი მაჩვენებლები: ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურები, აბსოლუტური მინიმალური და აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურები, ნალექების თვიური და წლიური რაოდენობა, ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა. ეს მაჩვენებლები მოტანილია (ცხრილი 1.) და შესაბამის კლიმადიაგრამებში (№ 3.1.1; 3.1.2; 3.1.3; 3,1,4).



**ქუთაისის მრავალწლიური და 2016 წლის კლიმადი**

დიაგრამა 3.1.1

დიაგრამა 3.1.2





■ ჰაერის საშ. წლიური C°  
 ■ მრავალწლიური

■ ნალექები  
 ■ მრავალწლიური

**ქუთაისის მრავალწლიური და 2017 წლის კლიმადი**

დიაგრამა 3.1.3

დიაგრამა 3.1.4



■ ჰაერის საშ. წლიური C°  
 ■ მრავალწლიური

■ ნალექები  
 ■ მრავალწლიური

ქუთაისში მრავალწლიური მონაცემებით საშუალო წლიური ტემპერატურა 14,4°C-ია. საკვლევ წლებში კი ბევრად მაღალი იყო (ცხრილი 1) და კლიმადი



ბი 1,2,3,4), განსაკუთრებით 2017 წელს და შეადგენდა 15,7<sup>0</sup>C. 2016 წელს კი 15,3<sup>0</sup>C. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურის დაცემა მრავალწლიურის მიხედვით მოსალოდნელია -17<sup>0</sup>C -მდე. საკვლევ წლებში ტემპერატურის დაცემა აღირიცხა მხოლოდ 2017 წელს და შეადგენს -3.5<sup>0</sup>C (იანვარში), 2016 წელს კი -1,5. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა კი დასაშვებია 42<sup>0</sup>C -მდე. რომელიც 2017 წელს აღირიცხა 37<sup>0</sup>C (აგვისტოში). ნალექების წლიური რაოდენობა ქუთაისში მრავალწლიური მონაცემებით 1394 მმ შეადგენს. სავეგეტაციო წლებიდან შედარებით მაღალი იყო 2017 წელს – 1515 მმ, ხოლო მინიმალური 2016 წელს – 1503 მმ.

ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა ნორმის მიხედვით ქუთაისში შეადგენს 76%; შედარებით მაღალი იყო 2016 წელს – 72%, ხოლო 2017 წელს საშუალოდ 71%. ქუთაისის აგროკლიმატური მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნორმასთან შედარებით საკვლევ წლებში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია. დანარჩენი მონაცემები ნორმის ფარგლებშია.

ამრიგად, აგროკლიმატურ მაჩვენებლებზე დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ ყველა აგროკლიმატური მაჩვენებლები ნორმის ფარგლებშია, მხოლოდ მრავალწლიურთან შედარებით ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა და ნალექები შედარებით მაღალი იყო 2017 წელს.

**ქუთაისის საცდელი პუნქტის აგროკლიმატური მაჩვენებლები**

ცხრილი-1

წლები	მაჩვენებლები	თ ვ ე ე ბ ი												საშუალო წლიური
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
მრავალწლიური	ჰაერის საშ. თვიური ტემპ. C <sup>0</sup>	5,2	5,8	8,4	12,9	17,9	21,0	23,2	23,6	20,5	11,4	11,2	7,0	14,4
	აბსოლუტური მინ. ტემპ. C <sup>0</sup>	-17	-13	-10	-5	2	9	11	11	5	-2	-10	-15	-17
	აბსოლუტური მაქს. ტემპ. C <sup>0</sup>	21	25	32	35	37	40	41	42	40	35	30	25	42
	ნალექები	174	168	136	112	92	105	115	95	124	143	156	166	1394
	ჰაერის შეფარდ. ტენიანობა	67	75	82	70	73	78	79	80	75	79	80	77	76
2016	ჰაერის საშ. თვიური ტემპ. C <sup>0</sup>	5,3	10,1	11,2	15,4	17,9	23,1	24,0	26,2	19,8	15,8	11,0	3,7	15,3
	აბსოლუტური მინიმა ტემპ. C <sup>0</sup>	-1,5	5	3,3	7,4	15	16,8	19,2	22	12,7	8,2	4,8	-1,3	-1,5
	აბსოლუტური მაქს. ტემპ. C <sup>0</sup>	16,4	17,9	21,5	24,2	21,2	28,9	32,7	30,1	24,4	22,7	22,1	11,3	32,7
	ნალექები	214,1	58,8	158,3	102,3	55,9	56,6	156,9	55,1	166,2	118,3	72,9	287,8	1503



	ჰაერის შეფარდ. ტენიანობა	69	75	75	76	73	74	68	71	70	78	76	64	72
2017	ჰაერის საშ. თვიური ტემპ. C°	5,2	5,2	11,2	14,1	17,3	21,4	25,0	27,0	23,8	15,7	11,9	10,1	15,7
	აბსოლუტური მინ. ტემპ. C°	-3,4	0,7	4,7	7,5	12,9	16,6	19,2	23,7	17,1	9,6	1,2	3,5	-3,4
	აბსოლუტური მინ. ტემპ. C°	14,3	12,5	17,8	20,4	22,7	28	32	35	29,2	21,1	19,2	15,3	31,8
	ნალექები	134,1	104,4	69,4	79,4	170,9	150,3	86,6	22,9	75,2	308,0	94,8	219,1	1515
	ჰაეროს შეფარდ. ტენიანობა	81	67	76	69	71	77	69	77	69	68	62	68	71

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. გ. მელაძე, ნ. გუდავაძე, ი. სანიკიძე - აქტინიდიის ზრდა-განვითარების ძირითადი შედეგები. ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები. 2005 წ.
2. ქ. ქუთელია - დასავლეთ საქართველოში აქტინიდიის კულტურის აგროეკოლოგიურ თავისებურებათა შესწავლა და მისი წარმოების აგროტექნიკური დახასიათება (მონოგრაფია). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი 2009წ.

### **Influence of agroclimatic factor on growth and development of Actinidia (Kiwi) plants (in Kutaisi 2016-2017)**

**Vladimer Ugulava**

Agriculture Academic Doctor, Associated Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

**Ketevan Kutelia**

Agriculture Academic Doctor, Assistant Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

**Tornike Xeladze**

Master

#### **Abstract**

Actinidia (Kiwi), as the Georgian production planting, was still less known for Georgian society, but since the second half of the last century Actinidia which is widely spread in the world fruit-growing, fruits are characterized by high nutritional and taste, deserved the universal approval, distribution and consumption in the world fruit-growing.

Actinidia production plants are predominantly widespread in the subtropical regions of western Georgia, in other regions we meet it in the homestead land of several persons concerned.

In order to study the agro-ecological characteristics of the Chinese Actinidia (Kiwi) culture, a stationary experiment was held in Kutaisi (Imereti).

Below there are the physical-geographical and agro-climatic indicators of the objects that conduct the research according to the long (norm) as well as years of experiment. We have recorded the following indicators: the average monthly and annual temperatures of air, absolute minimal and maximal temperatures, monthly and annual precipitation, air relative humidity. These indicators are presented in the table 1. and in relevant climatic diagram (# 3.1.1; 3.1.2; 3.1.3; 3,1,4).

In Kutaisi, the annual average temperature is 14,40C. In the study years it was much higher (Table 1) and climatic diagrams 1,2.3.4), especially in 2017 it was 15,70C, in 2016 - 15,30C.

According to long experiment the drop of absolute minimum temperature of the air is





expected at -170C.

In the study years, the temperature drop was recorded only in 2017 and it is -3.50C (in January), and in 2016 - 1.5. The absolute maximum temperature of the air is allowed up to 420C, in 2017-37C (in August). According to Kutaisi many years' data the annual amount of precipitation is 1394mm. In the vegetation years relatively higher was in 2017- 1515mm, and minimum in 2016-1503mm.

According to the standard the relative humidity of the air is 76%, it was relatively higher in 2016-72%, and in 2017 averagely 71%.

Analysis of Kutaisi agroclimatic indicators shows that the average annual air temperature in the study years is higher than the standard. The rest of the data is within the norm.

Thus, observation on the agro-climatic indicators show that all agroclimatic parameters are within the standard, only compared with many years records, the average air temperature and precipitation were relatively higher than in 2017.



## ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დეკორატიულ მცენარეთა ფიტოსანიტარული რისკების დადგენა

**მარინა კუცია**

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისი, საქართველო

*სტატიაში განხილულია, ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და მათ წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის მეთოდები. ჩვენს მიერ მიმდინარეობს ბოტანიკური ბაღის მერქნიან, ყვავილოვან-ბალახოვან მცენარეთა ფიტოსანიტარული რისკების დადგენა: დაზიანებული მცენარეების აღრიცხვა, ნიმუშების აღება, მავნე ორგანიზმების გამოვლენა, სახეობრივი რკვევა. წარმოდგენილია იდენტიფიცირებული ზოგიერთი მავნებლების გავრცელების არეალი, პოპულაციის განვითარების თავისებურებები და რეკომენდირებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამისი ღონისძიებები.*

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. რიონის სანაპიროზე ისტორიულ ჯაჭვის ხიდსა და ჭომის წყალსაცავს შორის. იგი დაარსებულია მე-19 საუკუნის შუა წლებში. ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დენდროფლორა დღეისათვის 700-მდე, ადგილობრივ-ენდემურ სახეობებთან ერთად მსოფლიოს ფლორისტული ოლქების, მკირფასი ეგზოტებითაა წარმოდგენილი. ბაღში მრავლადაა, ადგილობრივი ფლორის იშვიათი და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები ენდემები და რელიქტური მცენარეები. დეკორატიული მცენარეების მოვლის დროს უდიდესი როლი ენიჭება მათ დაცვას არახელსაყრელი გარემო პირობებისაგან და მცენარეთა ფიტოსანიტარული რისკების დადგენას.

ბოტანიკური ბაღის დეკორატიული მცენარეების ზრდა-განვითარების დროს უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება მათ დაცვას მავნებელ - დაავადებებისაგან, რადგან მავნებელ-დაავადებათა სწრაფი გავრცელება განსხვავებული და სპეციფიკური ვარიაციებით აქტუალურობას იძენს და მნიშვნელოვანია მათი დროული შესწავლა პროფილაქტიკური და დაცვითი ღონისძიებების გასატარებლად. ჩვენი კვლევის მიზანია ქუთაისის ბოტანიკური ბაღის მერქნიან, ყვავილოვან-ბალახოვან მცენარეთა ფიტოსანიტარული მონიტორინგის განხორციელება და მავნებელ-დაავადებებისგან დაცვის გადაუდებელი და გეგმაზომიერი სამუშაოების წარმართვა, კერძოდ მავნე ორგანიზმებით დაზიანებული და ფიტოპათოგენური მიკროორგანიზმებით დასენიანებული მცენარეების აღრიცხვა, ნიმუშების აღება, მავნე ორგანიზმებისა და სასარგებლო მწერების გამოვლენა, სახეობრივი რკვევა, ასევე ენტომოფაგების შესწავლა და მათი როლის დადგენა მწერთა რიცხოვნობის რეგულირებაში. მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძო-



ლის ეკოლოგიურად გამართლებული ღონისძიებების გატარება. საქართველოს ტერიტორიაზე ნებადართული თანამედროვე პესტიციდების შერჩევა და შექმნა. ბაღში გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების გამოცდა საველე პირობებში.

ჩვენს მიერ მიმდინარეობს დეკორატიული მცენარეების დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დაზიანებული დეკორატიული მცენარეების აღწერა, შეფასება და საჭერბარიუმო ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზი. ბაღის ტერიტორიაზე გამოვლენილი მავნე ორგანიზმების სახეობრივი რკვევა,



მუხის დიდი ხარაბუზას მიერ გამოწვეული დაზიანება, ხოჭო/რმაგო და მატლი

მცენარეთა საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების ბრძოლის მეთოდების დამუშავება. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში, ამჟამად იდენტიფიცირებულია ზოგიერთი დეკორატიული მცენარეების დაზიანების გამომწვევი პათოგენები:

**მუხის დიდი ხარაბუზა (Cerambyx cerdo acuminatus Motsch.)** - ბოტანიკურ ბაღში აღნიშნული მავნებლით დაზიანებულია ხნოვანი მუხის (150-200 წ.)სახეობები.

**დახასიათება:** მუხის დიდი ხარაბუზა შავია.ზედა ფრთების მეორე ნახევარი კი წაბლისფერია და ბოლოში თანდათან ვიწროვდება. თავზე გრძელი, სიმეტრიული ულვაშები აქვს. დედლის ულვაშები თითქმის სხეულის სიგრძისაა, მამლის კი სხეულზე ბევრად გრძელია. თავზე პირის ორგანოებიდან თუმცა ემჩნევა კარგად განვითარებული ზედა ყბები, მაგრამ მერქნის გაღრღნა (დაზიანება) არ შეუძლია. ხოჭოს სიგრძე 2,8-5 სმ-მდე მერყეობს. კვერცხი თეთრია და მოგრძო, 2-3 მმ-რი. მატლი 9 სმ-ს სიგრძისაა, თეთრი. თავის გვერდებზე 3-3 პატარა თვალი აზის. ის ხასიათდება კარგად განვითარებული მღრღნელი ტიპის ორგანოებით. მატლი სეგმენტირებულია, ძალზე პატარა ფეხები აქვს. ზურგისა და მუცლის მხარეზე წვრილი მეჭეჭები ემჩნევა, რომლებიც მოძრაობაში ხელს უწყობს. ჭუპრი თეთრია და დაუფარავი, ხოჭოს სიდიდის. დაუფარავ ჭუპრს კარგად ემჩნევა ხოჭოს თითქმის ყველა ნაწილი. მუხის დიდ ხარაბუზას ზიანი მოაქვს მატლის ფაზაში, ხოჭო არ იკვებება და ის სრულიად უვნებელია. მატლი პირველ წელს ქერქის ქვეშ ცხოვრობს და ლაფანით იკვებება. მეორე

რე ნახევარი კი წაბლისფერია და ბოლოში თანდათან ვიწროვდება. თავზე გრძელი, სიმეტრიული ულვაშები აქვს. დედლის ულვაშები თითქმის სხეულის სიგრძისაა, მამლის კი სხეულზე ბევრად გრძელია. თავზე პირის ორგანოებიდან თუმცა ემჩნევა კარგად განვითარებული ზედა ყბები, მაგრამ მერქნის გაღრღნა (დაზიანება) არ შეუძლია. ხოჭოს სიგრძე 2,8-5 სმ-მდე მერყეობს. კვერცხი თეთრია და მოგრძო, 2-3 მმ-რი. მატლი 9 სმ-ს სიგრძისაა, თეთრი. თავის გვერდებზე 3-3 პატარა თვალი აზის. ის ხასიათდება კარგად განვითარებული მღრღნელი ტიპის ორგანოებით. მატლი სეგმენტირებულია, ძალზე პატარა ფეხები აქვს. ზურგისა და მუცლის მხარეზე წვრილი მეჭეჭები ემჩნევა, რომლებიც მოძრაობაში ხელს უწყობს. ჭუპრი თეთრია და დაუფარავი, ხოჭოს სიდიდის. დაუფარავ ჭუპრს კარგად ემჩნევა ხოჭოს თითქმის ყველა ნაწილი. მუხის დიდ ხარაბუზას ზიანი მოაქვს მატლის ფაზაში, ხოჭო არ იკვებება და ის სრულიად უვნებელია. მატლი პირველ წელს ქერქის ქვეშ ცხოვრობს და ლაფანით იკვებება. მეორე



წელს ის გადადის მერქანში, სადაც ორი წლის განმავლობაში იკვებება და მერქანს შუა გულამდე აზიანებს. ზრდასრული მატლის მიერ გამოღრღნილი ხვრელი 2,3 სმ-ის სიგანისაა, რითაც ხე ძალზედ ზიანდება. მატლის ხვრელები პირველად ღია (მერქნის) ფერისაა, შემდეგ კი ხვრელი ივსება მატლის ექსკრემენტებით, შიგ ტენის გამო სოკო ვითარდება და ხვრელები შავდება. მუხის დიდი ხარაბუზა სამ წელიწადში ერთ თაობას იძლევა. ე.ი. სამწლიანი გენერაციით ხასიათდება.

ხოჭო ხვრელიდან გამოდის მაისში, ე.ი. მისი ფრენა მაისში იწყება და ზოგჯერ აგვისტომდე გრძელდება. ხოჭოების ფრენა, განაყოფიერება, კვერცხების დება სადამოსა და ღამით წარმოებს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ხოჭო არ იკვებება და არც ზიანი მოაქვს. კვერცხს ცალ-ცალკე დებს, ხეებისა და ძირკვების ნაპრალებში. ხოჭო კვერცხების დებას აწარმოებს, როგორც ხის ღეროს ქვედა ნაწილზე, ისე ხის ღეროს მთელ სიგრძეზე. განშტოების ადგილებსა და ტოტებზე. თითო დედალი 100-150 კვერცხს დებს. კვერცხიდან მატლი 10-15 დღეში იჩეკება, შემდეგ შედის ქერქის ქვეშ და ლაფნით იწყებს კვებას. მატლი პირველ ზამთარს ქერქის ქვეშ ატარებს. გაზაფხულზე, მეორე წლის მატლი იმავე ხვრელით უკან ბრუნდება და ამზადებს მოხრილ განიერ ჭუპრის აკვანს, რომელსაც პირიდან გამოყოფილი სპეციალური კირიანი შემადგენლობის ნივთიერებებიდან უკეთებს სახურავს. ამ აკვანში ის იჭუპრებს, დაჭუპრება იწყება დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებიდან და ოქტომბრამდე გრძელდება. ჭუპრის ფაზა 25-30 დღეს გრძელდება. მატლი, გამოსაფრენისა და ჭუპრის აკვნის დამზადებისას (ივლისი-აგვისტო) გარეთ ყრის ნალრღნ ფეკილს. ამ ნალრღნი ფეკილის გროვის არსებობით მატლის ხვრელის მოძებნა ადვილია. ჭუპრობიდან გამოსული ხოჭო აკვანში რჩება, იზამთრებს და გაზაფხულზე გამოდის.

**ბრძოლის მეთოდები:** მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხმობადი ხეები უნდა მოიჭრას. ძირკვები გაიქერქოს, ხის ღერო 2 მეტრიან კოტრებად დავხერხოთ. 10-15 სმ სიმახოს სორტიმენტად გავაპოთ და დაყოფისას შენიშნული ხოჭოები გაანადგუროთ. მატლებისა და ჭუპრების განადგურება არაა საჭირო, რადგან ისინი ისედაც იხოცებიან ჰაერზე.

ამ მავნებლის წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა მაისიდან აგვისტომდე ხოჭოების შეგროვება და განადგურება. აგრეთვე ხელის ინჟექტორით 3-5 კუბური სანტიმეტრი პარადიქლორბენზოლისა და დიქლორეთანის (1:4) ხსნარის მატლის სასვლელებში შემხაპუნება.

ჰექსაქლორანთანის ზეთის 20%-იანი კონცენტრატის 20%-იანი ემულსიით ხეების შესხურება. იგი იწვევს ქერქის ქვეშ ახლად გამოჩეკილი მატლებისა და კვერცხების პერიოდში ხოჭოების განადგურებას.



მუხის ფოთლის რწყილის მიერ გამოწვეული დაზიანება, ხოჭო/იმაგო და მატლი

მუხის ფოთლის რწყილი - *Haltica saliceti* Ws. - ხოჭო ლურჯი ან მომწვანო ფერისაა. სხეულის სიგრძე 4-5 მმ-ამდე აღწევს. უკანა ფეხების ბარძაყები გამსხვილებულია და მოხერხებულია სახტუნაოდ. მატლის სიგრძე 7 მმ-მდეა. აქვს 3

წყვილი მკერდის ფეხი. სხეული მბრწყინავი შავია, ზურგზე

მბრწყინავებეწვებიანი მეჭეჭები განივდაა გაწყობილი. ბაღში აღნიშნული მწერი როგორც მატლის, ისე ხოჭოს სტადიაში აზიანებს ყველა ხნოვანების მუხის ფოთლებს, ასევე აღნიშნულია რცხილის ფოთლების დაზიანება და სათბურში დეკორატიული ბალახოვანი მცენარეების ჩითილების დაზიანება. ახლადგამოჩეკილი მატლები ჯერ ფოთლის ზედაპირული ნაწილით იკვებებიან და იწვევენ ფოთლის სკელეტაციას, უფრო მოზრდილი მატლები ფოთლის რბილ ნაწილს მთლიანად ანადგურებენ ისე, რომ მხოლოდ ძარღვები რჩება. დაზიანებული ფოთლები ღია ყავისფრად მუქდება და იკრუნჩხება. მუხის ფოთლის რწყილი ითვლება მუხის კულტურების პირველად მავნებლად. ხოჭო იზამთრებს ტყის მკვდარ საფარში და ქერქის ნაპრალებში. ასევე იდენტიფიცირებულია მუხის სახეობების ფოთლების დაზიანების გამომწვევი მსხლის ბაღლინჯო - *Stephanitis pyri*, მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი - *Tischeria complanella*.

**ბრძოლის მეთოდები:** სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების ჩატარება. მათ წინააღმდეგ გამოიყენება ინსექტიციდების და ბიოპრეპარატების შესხურება.



ბზის ალურას მიერ გამოწვეული დაზიანება, მატლი და იმაგოზრდასრული ხოჭო

**ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)**

**დახასიათება:** მავნებელი ლურჯ კანტებიანი მოყავისფრო თეთრი პეპელაა. მატლები იზრდება 5 სმ-მდე, მომწვანო-ყვითელი ფერისაა, შავი თავით და მუქი მოგრძო ზოლებით. მატლი იკვებება ფოთლებით და ახალი ტოტების ქერქით. ისინი მცენარეს ახვევენ აბრეშუმის ქსელში. დაავადებული მცენარე გახვეულია ბეჟანლიაყავისფერი ფერის ქსელში. პეპლის ზემოქმედებით

მცენარეს ცვივა ფოთლები და ხმება. წელიწადში იძლევა 3 თაობას.



**ბრძოლის მეთოდები:** ბზის ღრმად გასხვლა, აგრეთვე კვერცხების და მატლების შეგროვება შემდგომი დაწვით. ძლიერ დაზიანებული, გამხმარი მცენარეები უნდა დაიწვას.

ვიდრე მცენარე ძლიერ დაზიანდება რეკომენდირებულია მცენარეების დამუშავება პირეტროიდების ჯგუფის პრეპარატებით: დეცის ლუქსი, ფასტაკი, კარატე, ფიური. შესაძლებელია აგრეთვე ძლიერი სისტემური პრეპარატის ბი-58 (ახალი), გამოყენება უსაფრთხოების ზომების დაცვით. ახალგამოჩეკილი მატლების წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ახალი თაობის პრეპარატი მწერების ზრდის და განვითარების რეგულატორი – დიმილინი, რომელიც არატოქსიკურია ადამიანისა და თბილსისხლიანი ცხოველებისათვის. ბიოლოგიური პრეპარატებიდან რეკომენდირებულია ბაქტერიული პრეპარატები, რომლებიც დამზადებულია *Bacillus thuringiensis* საფუძველზე. (ლეპიდოციდისკ-მ). აღსანიშნავია, რომ ეს პრეპარატები ეფექტურია მხოლოდ ახალგაზრდა ასაკის მატლების წინააღმდეგ.



ცქვლეფია მზომელას პეპელა (იმაგო), მატლი, ჭუპრი

ცქვლეფია მზომელა - *Erannis defoliaria* L., მამრი პეპელა ფრთიანია ღია მოყვითალო ფერის. წინა ფრთებზე განივი ორი მოშავო ზოლი გასდევს, უკანა ფრთები მოთეთრო-მოყვითალოა შავი ლაქებით. მისი ზომა გაშლილი ფრთებით 40 მმ-ია.

მდედრ პეპელას ფრთები არ აქვს, იგი მოწითალო-მოყვითალო ფერისაა. ზრდასრული მატლის სიგრძე 35 მმ-ია, მურა ფერის, ზურგზე ორი და გვერდებზე ორმაგი შავი ხაზებით, ქვედა მხრიდან მოყვითალო ფერის. ზრდასრული მატლი მურა მოწითალოა. ჭუპრი მუქი მურა მოწითალოა, სხეული წვრილია და ბრჭყვიალა. მუცლის ბოლოზე მოხრილი ნაზარდი აქვს. სიგრძე 10-15 მმ-ია.

ცქვლეფია ან უფროსად მზომელას ახასიათებს ერთწლიანი გენერაცია. ზამთრობს კვერცხის ფაზაში. გაზაფხულზე-აპრილში იჩეკებიან მატლები. მატლები ჯერ იკვებებიან ფოთლებში ფარულად, შემდეგ ღია ცხოვრებას ეწევიან. ქარის ან წვიმის დროს ისინი აბლაბუდის ძაფით ეშვებიან ძირს. მატლები ივლისში აბლაბუდის ქსელით ეშვებიან ნიადაგზე და 5-10 სმ სიღრმეზე იჭუპრებიან. ჭუპრის ფაზა ოქტომბერ-ნოემბრამდე გრძელდება. ჭუპრებიდან გამოფრენილი მდედრი პეპლები კვერცხებს დებენ ვარჯში კვირტებთან ახლოს ცალ-ცალკე ან ჯგუფურ-



ზამთრის მზომელას მიერ გამოწვეული ლიხნისის ფოთლის დაზიანება, პეპელა და მატლი

რად. დაზიანებულია ფოთლოვნებიდან მერქიანები მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი. ასევე გამოვლენილია პოლიფაგი მავნებელი ზამთრის მზომელა (*Operophtera brumata* L.) მავნებლის ზრდასრული მატლის სიგრძე დაახლოებით 2 სმ-ს შეადგენს. იგი მწვანე ფერისაა, გვერდებზე სამი თეთრი ზოლი გასდევს, ზურგზე კი ერთი მუქი ფერის ხაზი. მამალი პეპელას სხეულის სიგრძე გაშლილი ფრთებით 20-30 მმ-მდეა. აქვს მოკლე ძაფისებრი ულვაშები. მუქი-მოყვითალო ფერის წინა ფრთებზე ახასიათებს მუქი ფერის ტალღისებრი განივი ხაზები. უკანა ფრთები უფრო ღია ფერისაა. დედალი პეპელას ფრთები ნახევრადაა განვითარებული. მისი უკანა ფრთები მურა-ნაცრისფერია, გასდევს ორი განივი ზოლი. წინა ფრთები უფრო მურა ფერისაა, ახასიათებს ორი მუქი განივი ზოლი. მამალი პეპლისაგან განსხვავებით, დედლის ულვაშები უფრო გრძელია. ფეხები კარგადაა განვითარებული.

**ბრძოლის მეთოდები:** ფოთლის მღრღნელი მავნებლების ახალგაზრდა მატლების განვითარებისას საჭიროა ინსექტიციდით შეწამლვა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდირებულია შესაწამლი პრეპარატი-ლეპიდოციდი-CKM - ბიოლოგიური ინსექტიციდი. ტყის სახეობებთან ერთად დეკორატიული მცენარეების დასამუშავებლად გამოიყენება და ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) კლასიფიკაციით მიეკუთვნება საშიშროების ყველაზე დაბალ კლასს, მითითებული ნორმით და წესით გამოყენების შემთხვევაში არ არის ტოქსიკური ადამიანების, თბილსისხლიანი ცხოველებისა და ფრინველებისათვის.

აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბაღლინჯო, ლათ.: *Halyomorpha halys* Stal).



**დახასიათება:** აზიური ფაროსანა საკმაოდ დიდი ზომის (12-17მმ) პოლიფაგი მავნებელი მწერია. აზიანებს თესლოვან და კურკოვან ხეხილს, კენკროვნებს, მინდვრის კულტურებს, ბოსტნეულს, დეკორატიულ მცენარეებს. ინტენსიურად გამრავლების შემთხვევაში მასშტაბურ ზარალს აყენებს გარემოსა და სოფლის მეურნეობას. ბოტანიკურ ბაღში მიუხედავად საკარანტინო ღონისძიებისა მასიური გავრცელება აღინიშნება სხვადასხვა მცენარეებზე. განსაკუთრებული მავნებით გამოირჩევა ციტრუსოვანი და დეკორატიული კულტურების (ხეტუხტი, წითელი, თეთრი სალბი) მიმართ. გამოზამთრების შემდეგ აპრილის ბოლოს-მაისის დასაწყისში, აზიური ფაროსანა გამოდის, იწყებს მცენარეებით კვებას და კვერცხდება. აზიური ფაროსანა - სულ 200-მდე კვერცხს დებს, მათ შორის ერთ კერაში 30-მდე კვერცხს ძირითადად ფოთლის ქვედა მხარეს ჯგუფებად. კვერცხი თეთრი ფერისაა და გამოჩეკვის წინ იღებს ოქროსფერ შეფერილობას. 4-5 დღეში იჩეკებიან მოწითალო ნიმფები (მატლები), რომლებიც ფერს თანდათან იცვლიან (მეორე ასაკში მოშავო, ხოლო შემდგომ - მოთეთრო-ყავისფერი ხდება), 5 ასაკის გავლის შემდეგ გადაიქცევიან ზრდასრულ მავნებლად - იმაგობად; 50-55 დღეში აღწევენ ზრდასრულ ასაკს. ფაროსანას ახასიათებს განიერი, ყავისფერი, მარმარილოსებრი ტექსტურა, ხოლო ფეხებზე, მუცლის კიდებებსა და ულვაშებზე - თეთრი ზოლები.



აზიური ფაროსანას მიერ გამოწვეული დაზიანება ხეტუხტი, წითელი სალბის ყვავილები, თესლები

სის დასაწყისში, აზიური ფაროსანა გამოდის, იწყებს მცენარეებით კვებას და კვერცხდება. აზიური ფაროსანა - სულ 200-მდე კვერცხს დებს, მათ შორის ერთ კერაში 30-მდე კვერცხს ძირითადად ფოთლის ქვედა მხარეს ჯგუფებად. კვერცხი თეთრი ფერისაა და გამოჩეკვის წინ იღებს ოქროსფერ შეფერილობას. 4-5 დღეში იჩეკებიან მოწითალო ნიმფები (მატლები), რომლებიც ფერს თანდათან იცვლიან (მეორე ასაკში მოშავო, ხოლო შემდგომ - მოთეთრო-ყავისფერი ხდება), 5 ასაკის გავლის შემდეგ გადაიქცევიან ზრდასრულ მავნებლად - იმაგობად; 50-55 დღეში აღწევენ ზრდასრულ ასაკს. ფაროსანას ახასიათებს განიერი, ყავისფერი, მარმარილოსებრი ტექსტურა, ხოლო ფეხებზე, მუცლის კიდებებსა და ულვაშებზე - თეთრი ზოლები.

**ბრძოლის მეთოდები:** აზიური ფაროსანას წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ მექანიკური და ქიმიური ბრძოლის მეთოდები. შენობებში აზიური ფაროსანას შემოჭრის თავიდან აცილება შეიძლება ე.წ. სინათლის ხაფანგებით, ხოლო შემოჭრის შემთხვევაში, მისი რაოდენობის შესამცირებლად მარტივი, ეფექტური და უსაფრთხო მეთოდია მექანიკური განადგურება - გაჭყლეტვის გარეშე; ფაროსანას





ნას მექანიკური განადგურებისთვის დაიჭირეთ და ჩაყარეთ საპნიან ხსნარში.

მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციით, შეწამვლითი სამუშაოების დაწყება მიზანშეწონილია მაის-ივნისში, მავნებელის დაფრთიანებამდე (ნიმფის ასაკში).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით მავნებლის წინააღმდეგ ეფექტურია და შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი სახის პრეპარატები: **კარატე ეკ** (მოქმედი ნივთიერება: ლამბდა-ციკლოტრინი); **ტალსტარი 10 ეკ** (მოქმედი ნივთიერება: ბიფენტრინი); **ინკასარი ეკ** (მოქმედი ნივთიერება: ბიფენტრინი) და სხვა. ასევე წარმოდგენილია ის რეგისტრირებული სადეზინსექციო საშუალებები, რომლებიც თანმხლები ინსტრუქციის თანახმად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შენობებში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ: „რაფტორი-აეროზოლი“, „K-Othrine SC 50“, „დიხლოფოსი ეკო“, ფენდონა, „სახლის პროშკაგელი“ .



ბოტანიკურ ბაღში „კეთილშობილი“ დაფნის (*Laurus nobilis* L.) მრავალრიცხოვანი მავნებლებია გამოვლენილი. ზოგიერთი მათგანი მონოფაგია ზოგიც სხვა სუბტროპიკული მცენარეების საერთო მავნებელია. ფოთოლრწყი-



